და მაინც - IV ადგილი

თბილისი. “ლოკომოტივის” სტადიონი. 5 ნოემბერი.

“დინამო” (თბილისი) _ “ზენიტი” (ლენინგრადი) _ 1:0 (1:0).

“დინამო”: ურუშაძე, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ხურცილავა, მაჩაიძე, პეტრიაშვილი, მჭედლიშვილი, ასათიანი, მეტრეველი, გ. ნოდია, ლ. ნოდია.

“ზენიტი”: შაპოვალენკო, ბულავინი, ლოხოვი, გოლუბევი, ზაგუმენიხი, სადირინი, კოხი, ვიუნი, ბურჩალკინი (მასლოვი), სტრეპეტოვი, უნანოვი.

მსაჯი: პ. კაზაკოვი (მოსკოვი).

დუბლიორები _ 3:2 “დინამოს” სასარგებლოდ.

განვლილ მატჩს “ზენიტთან” დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო ორივე გუნდისთვის. მის შედეგს გარკვეული ცვლილებების შეტანა შეეძლო გათამაშების ცხრილში და ამიტომ აქ თავისებური “პარალელური ჩათვლა” ხდებოდა სხვებისთვისაც.

ვთქვათ, დინამოელებს დაემარცხებინათ “ზენიტი” ანგარიშით 3:0 (რაც არაერთხელ მომხდარა ჩვენს სტადიონზე), ხოლო “ჩერნომორეცს” ემარჯვა ერევანში და 2 ბურთი გაეტანა “არარატის” კარში, მაშინ ლენინგრადელები და ოდესელები ადგილებს იცვლიდნენ ერთმანეთს შორის და I ჯგუფში გადასვლა მოუწევდა არა “ჩერნომორეცს”, არამედ “ზენიტს”. უკვე ამ გარემოებამ აიძულა სტუმრები კონკრეტული ამოცანა დაესახათ მატჩის შედეგის მიმართ _ თუნდაც წაგება, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ მინიმალური სხვაობით. ეს მათ ხელს აძლევდა.

დინამოელები კი გამარჯვებისთვის იბრძოდნენ, ვინაიდან 5 ნოემბრისთვის შექმნილ სატურნირო მდგომარეობაში მათაც კონკრეტული მიზანი ჰქონდათ _ ორივე დარჩენილი მატჩის მოგება ჩემპიონატში IV ადგილზე გასასვლელად.

როგორც ხედავთ, პრინციპული ხასიათის მოსაზრებანი ორივე გუნდს გააჩნდა. ამ ამოცანებს მატჩი დიდი ბრძოლის სარბიელად უნდა ექცია და, თუმცა, ყველაფერი მოხდა ისე როგორც მეტოქეებს სურდათ, ე.ი. “დინამომ” გაიმარჯვა, “ზენიტმა” მინიმალური ანგარიში გაინაღდა, დიდი ბრძოლისა კი მინდორზე ნატამალიც არ იყო. თამაში გამოდგა უინტერესო, უფერული, მოკლებული ლამაზ სანახაობით მხარეს.

ლენინგრადელებმა პირველივე წუთებიდან პასიური დაცვის ტაქტიკა აირჩიეს. თითქმის მთელმა გუნდმა ბურჩალკინმა და უნანოვმაც კი, უკან დაიხია და საჯარიმო მოედნის სიახლოვეს ჩაჯდა. დინამოელებს არ აძლევდნენ ბურთის თავისუფლად მიღების საშუალებას, რისთვისაც ხშირი იყო წესის დარღვევა (5 ჯარიმა 5 წუთში “ზენიტის” მხარეს), ბურთის აუტში გადაგდება და ა.შ. მასპინძლებმა ზედიზედ რამდენიმე იერიში მიიტანეს მოწინააღმდეგის კარზე. ერთ-ერთი მათგანისას ასათიანმა შორი მანძილიდან დაარტყა. შაპოვალენკომ ნახტომში აიღო ბურთი, მაგრამ ვერ გააჩერა იგი ხელში და გ. ნოდიამ ზუსტად დაარტყა კარში _ 1:0,.

სტუმრებმა მაშინვე გარდაქმნეს ტაქტიკა. ისინი მიხვდნენ, რომ პასიური დაცვისგან კარგი არაფერი გამოვიდოდა, ამიტომ წინ გადაიტანეს თამაში, გაათანაბრეს მდგომარეობა და აამოქმედეს თავდამსხმელები. ამის შემდეგ ბურთი შუა მინდორში ტრიალებდა და დინამოელებს მხოლოდ ეპიზოდური შეტევები დარჩათ, სადაც გამოირჩეოდნენ ლ. ნოდია და მაჩაიძე.

მეორე ტაიმის დასაწყისში ბრძოლა გამოცოცხლდა. თბილისელებმა რამდენიმე სწრაფი კომბინაცია განახორციელეს მარცხენა ფლანგზე, ლენინგრადელებმა ისევ გააძლიერეს დაცვის ხაზები, მაგრამ 10-15 წუთის შემდეგ თამაშმა კვლავ მინდვრის შუაგულში გადაინაცვლა და საერთო სიმწვავე ჩაქრა. დარჩენილი დრო საკმაოდ უშინაარსო ბრძოლაში, უშედეგოდ მიმდინარეობდა. ანგარიში 1:0 “დინამოს” სასარგებლოდ აღარ შეცვლილა.

რ. ქორიძე.
“ლელო”, 7 ნოემბერი, 1970 წ.